საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 5 20 0000596747

13/07/2020

„სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების “ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებ ლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 6 მარტის N20 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2020 წლის 25 მარტის MES 9 20 00317403 წერილის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ,,სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებ ლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 6 მარტის N20 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:
1.1 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 13 დეკემბერს.“

1.2 გადაწყვეტილების დანართი №1-ის მე-17 პუნქტში ნაცვლად 2020 წლის 12 მარტისა მიეთითოს 2019 წლის 13 დეკემბერი.

1.3 გადაწყვეტილების დანართი №1-ის მე-19 პუნქტში ნაცვლად 2022 წლის 14 მარტისა მიეთითოს 2021 წლის 13 დეკემბერი.

2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 13 ივლისის MES 8 20 0000592096 სხდომის ოქმის N03 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. No2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, No6, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 20

20~~19~~20 წ. "06" 03

ქ.თბილისი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^2 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას: ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან.“.

თავმჯდომარე

მდივანი

1.3. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 2 წელი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 01 აგვისტოს სსიპ - საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №1006342 (ცენტრში რეგისტრაციის №1009426, 1009469, 1009543, 1009607, 1009698, 1009785, 1009846, 1009908, 1009931, 1010244, 1010264) სააკრედიტაციო განაცხადი „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 03 სექტემბრის №778 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 05 ნოემბრის №1059 ბრძანებით (ცვლილება - 2019 წლის 19 ნოემბრის №1118 ბრძანება) შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 27 ნოემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ხოლო 2019 წლის 13 დეკემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თავმჯდომარე

მდივანი

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაცია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 06 მარტს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა რეკომენდაციები, თუმცა ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის მაძიებელს უნდა მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

2.5. საბჭომ მიიჩნია, რომ მე-2 სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" უნდა შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

2.6. საბჭომ გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით გათვალისწინებული შემდეგი რეკომენდაციები:

ა) რეკომენდებულია, საბაკალავრო პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირებების გადახედვა და დახვეწა, რათა თითოეული შედეგის აღწერა მაქსიმალურად იყოს მისადაგებული კონკრეტული სფეროს თავისებურებებთან;

ბ) რეკომენდებულია, გასაუბრებისა და პორტფოლიოს წარდგენის პროცედურის, პორტფოლიოს შეფასების კრიტერიუმების უფრო მკაფიოდ გაწერა და აბიტურიენტებისთვის აღნიშნული მექანიზმის არსის და შეფასების კრიტერიუმების დეტალურად გაცნობა;

გ) რეკომენდებულია, პროგრამის აღწერით ნაწილსა და სტრუქტურაში მკაფიოდ გამოიყოს ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები, რაც უკეთ უზრუნველყოფს სტრუქტურაში დარგის სპეციფიკის ზედმიწევნით ზუსტად ასახვას;

დ) რეკომენდებულია, ქართულენოვანი სასწავლო რესურსის გამდიდრება, როგორც ორიგინალური სახელმძღვანელოების, ასევე, სალექციო კურსების შექმნის გზით;

ე) რეკომენდებულია, საბაკალავრო პროექტის სილაბუსში უფრო მკაფიოდ გაიწეროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები (მაგალითად, შექმნილი ნაწარმის/კოლექციის ერთეულთა მინიმალური რაოდენობა, მისი სინთეზური ხასიათი, შეფასების კრიტერიუმები) და საკუთრივ დაცვის ფორმატი;

ვ) რეკომენდებულია, კარიერული განვითარების სამსახურის/სერვისის ცნობადობის ამაღლება სტუდენტთა შორის და მისი გააქტიურება სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

2.7. საბჭომ მიიჩია, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს დამატებით უნდა მიეცეს შემდეგი რეკომენდაციები:

ა) მიზანშეწონილია, პროგრამაში ისეთი საგნების სწავლება, რომელიც სტუდენტებს ფართოდ ასწავლის დარგის ისტორიას, ტენდენციებს. აღნიშნული საკითხები მწირად არის წარმოდგენილი პროგრამაში;

ბ) საგანები ,,დარგის მენეჯმენტი" და ,,ნაწარმის მარკეტინგი და რეკლამირება" ზოგადი და სტანდარტულია. აქცენტი უნდა გაკეთდეს დარგის სპეციფიკაზე. გამდიდრდეს პრაქტიკული საკითხებით,

თავმჯდომარე

მდივანი

მაგალითებით და პრაქტიკული სიტუაციების ანალიზით. ორივე საგანი მთლიანად შესაცვლელია, როგორც სტრუქტურულად ისე შინაარსობრივად;

გ) სტუდენტთა შეფასების მინიმალური კონპეტენციის რაოდენობრივი მაჩვენებელი შესაბამისობაში მოვიდეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსთან.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 06 მარტის №05 სხდომის ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა/დაამატა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) რეკომენდებულია, საბაკალავრო პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირებების გადახედვა და დახვეწა, რათა თითოეული შედეგის აღწერა მაქსიმალურად იყოს მისადაგებული კონკრეტული სფეროს თავისებურებებთან;

ბ) რეკომენდებულია, გასაუბრებისა და პორტფოლიოს წარდგენის პროცედურის, პორტფოლიოს შეფასების კრიტერიუმების უფრო მკაფიოდ გაწერა და აბიტურიენტებისთვის აღნიშნული მექანიზმის არსის და შეფასების კრიტერიუმების დეტალურად გაცნობა;

გ) რეკომენდებულია, პროგრამის აღწერით ნაწილსა და სტრუქტურაში მკაფიოდ გამოიყოს ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები, რაც უკეთ უზრუნველყოფს სტრუქტურაში დარგის სპეციფიკის ზედმიწევნით ზუსტად ასახვას;

დ) რეკომენდებულია, ქართულენოვანი სასწავლო რესურსის გამდიდრება როგორც ორიგინალური სახელმძღვანელოების, ასევე სალექციო კურსების შექმნის გზით;

ე) რეკომენდებულია, საბაკალავრო პროექტის სილაბუსში უფრო მკაფიოდ გაიწეროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები (მაგალითად, შექმნილი ნაწარმის/კოლექციის ერთეულთა მინიმალური რაოდენობა, მისი სინთეზური ხასიათი, შეფასების კრიტერიუმები) და საკუთრივ დაცვის ფორმატი;

ვ) რეკომენდებულია, კარიერული განვითარების სამსახურის/სერვისის ცნობადობის ამაღლება სტუდენტთა შორის და მისი გააქტიურება სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით;

თავმჯდომარე

მდივანი

ზ) მიზანშეწონილია, პროგრამაში ისეთი საგნების სწავლება, რომელიც სტუდენტებს ფართოდ ასწავლის დარგის ისტორიას, ტენდენციებს. აღნიშნული საკითხები მწირად არის წარმოდგენილი პროგრამაში;

თ) საგანები ,,დარგის მენეჯმენტი" და ,,ნაწარმის მარკეტინგი და რეკლამირება" ზოგადი და სტანდარტულია. აქცენტი უნდა გაკეთდეს დარგის სპეციფიკაზე. გამდიდრდეს პრაქტიკული საკითხებით, მაგალითებით და პრაქტიკული სიტუაციების ანალიზით. ორივე საგანი მთლიანად შესაცვლელია, როგორც სტრუქტურულად ისე შინაარსობრივად;

ი) სტუდენტთა შეფასების მინიმალური კონპეტენციის რაოდენობრივი მაჩვენებელი შესაბამისობაში მოვიდეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსთან.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს - 2020 წლის 12 მარტი.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე ირაკლი ბურდული

საბჭოს მდივანი ნიკოლოზ კიკნაძე

თავმჯდომარე

მდივანი

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	მოდის დიზაინის ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	ავტორიზებული და აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 13 დეკემბერის №287; ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 01 ოქტომბრის №76;
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	სამოსის დიზაინი
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიზაინის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული დიზაინი
12	კვალიფიკაციის კოდი[7]	0212
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო 0171, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №68, I კორპუსი
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2020 წლის 12 მარტი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის	-

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

თავმჯდომარე

მდივანი

	წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2022 წლის 14 მარტი

[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი